

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი N 8

ქ. თბილისი
20 ივლისი, 2021 წ.

ესწრებოდნენ:

ნინი ციციშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურისტი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

კავშირი საფარის საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

ნინი ციციშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საჩივრის შინაარსი. საჩივარი გამოგზავნილია 2021 წლის 18 ივნისს ელექტრონულ ფოსტაზე: info@tvpirveli.ge.

კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული ინფორმაცია და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ სიუჟეტში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასაბუთება და მოთხოვნა ურთიერთწინააღმდეგობრივი აღმოჩნდა.

კერძოდ, „კავშირი საფარის“ მიერ საჩივარი წარედგინა ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიას, თუმცა პოზიციის დასაბუთებისას არაერთხელ მიუთითა, რომ სიუჟეტი გავიდა „მთავარი 8-ზე“ ეთერში, რომ „გადაცემა მთავარი 8-ზე ჟურნალისტების და პროდიუსერის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესი“, „გადაცემა მთავარი 8-ზე ჟურნალისტის მიერ, მესამე პირებს მიეწოდა ინფორმაცია სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის თაობაზე, რომლითაც ბავშვი ცნობილი იყო დაზარალებულად“, „გადაცემა მთავრი 8-ზე სარედაქციო ჯგუფმა არ იმოქმედეს ბავშვთა უფლებათა კონვენციის, ქარტიის პრინციპის... შესაბამისად“ და ა.შ.

ტელეკომპანია პირველის სამაუწყებლო ბადეში არ არსებობს გადაცემა „მთავარი 8-ზე“. ამდენად, ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისია უფლებამოსილი არ არის იმსჯელოს გადაცემა „მთავარი 8“-ზე გასულ სიუჟეტში შესაძლო დარღვევების თაობაზე, რის გამოც მიღებულია გადაწყვეტილება საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დაგვიანებული პასუხი გამოწვეულია ბოლო პერიოდის დრამატული მოვლენებით, რამაც ხელი შეუშალა თვითრეგულირების კომისიის შეკრებას.

ნინი ციციშვილი
გიორგი დარჯანია
ლევან კირვალიძე

6. თბილის
ქალაქი,
საქართველო